



## განათლების ფაკულტეტზე 2009-2010 სასწავლო წლის

### წარმატებულ სტუდენტთა დაჯილდოვების

#### ცერემონიული გაიმართა

26 ივლისს განათლების ფაკულტეტზე 2009-2010 სასწავლო წლის წარმატებულ სტუდენტთა დაჯილდოვების ცერემონიული გაიმართა. აღნიშნული ღონისძიება ფაკულტეტზე მესამედ (2008 წლის ივნისი, 2009 წლის ივნისი) ჩატარდა და უკვე ტრადიციად იქცა. ცერემონიულს ესწრებოდნენ და სტუდენტებს მიესალმნენ სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორი, პროფესორი ჯონი აფაქიძე, უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭოს სპიკერი ასოც. პროფ. ლარისა თაკალანძე, განათლების ფაკულტეტის დეკანი ასოც. პროფ. ლია ახალაძე, უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს წევრი, პროფ. ოთარ ვახანია, ასოც. პროფესორები: ბროლისა წულაია, იზო ბუხუღეიშვილი, გულნაზ ხუბუა, ლეილა შეროზია, რუსუდან ფიფია, თამარ შინჯიაშვილი და სხვები.

სტუდენტთა დაჯილდოვების ცერემონიული განსაკუთრებით ამაღელვებელი და მნიშვნელოვანი აღმოჩნდა პირველკურსელთათვის, რომლებიც აღტაცების სიხარულს ვერ მალავდნენ მიღწეული წარმატებების გამო. სტუდენტებს სიგელები და წიგნები გადაეცათ შემდეგ ნომინაციებში:

- სტუდენტთა და მაგისტრანტთა სამეცნიერო კონფერენციაზე წარმატებული თემის პრეზენტაციისათვის დაჯილდოვდნენ:

ბაკალავრიატი: ნანა ფონიავა, მარინე თვაური, თეონა პეტრიაშვილი, ცისია ვანიშვილი, მერი აბესაძე, კესო ახალაია, ანი კაპანაძე, ნინო ნონაშვილი, დალი ჯაფარიძე, ლელა გოგიტიძე, ელენე ჩუბინიძე, ნათია ტაბატაძე, ირინა გუდაძე;

მაგისტრატურა: ელისო კეთილაძე, თეონა ბობოხია;

- უნივერსიტეტისა და ფაკულტეტის საზოგადოებრივ ცხოვრებაში აქტიური მონაწილეობისათვის დაჯილდოვდნენ:

ბაკალავრიატი: ეკა კეპაშვილი, სალომე კაკავა, ქეთი ბიწაძე, თეონა გორდეზიანი, თამარ ბურდული, ნინო გელაშვილი, ნათია სოლოლაშვილი, ნინო თათარაშვილი, ფიფქია აბრამიშვილი, მარინე ქაფიანიძე, ლელა ქეშელაშვილი;

- უნივერსიტეტისა და ფაკულტეტის სახელით საზოგადოებრივ არენაზე მიღებული წარმატებებისათვის დაჯილდოვდა თეონა თოდუა;

- განათლების ფაკულტეტის 2009-2010 სასწავლო წლის ყველაზე აქტიურ და წარმატებულ პირველკურსელად დასახელდა თეონა გაბუნია;

- განათლების ფაკულტეტის 2009-2010 სასწავლო წლის ყველაზე აქტიურ და წარმატებულ კურსდამთავრებულად დასახელდა სოფიო ლატარია;

მეოთხეკურსელებმა გზა დაულოცეს პირველკურსელებს და უსურვეს მათ საყვარელ უნივერსიტეტში წარმატებული სწავლა და საინტერესო სტუდენტური ცხოვრება. დასასრულს სტუდენტებმა მადლობა გადაუხადეს უნივერსიტეტისა და ფაკულტეტის ადმინისტრაციას და განაცხადეს ”ვამაყობთ, რომ სოხუმის უნივერსიტეტელები ვართ”.